



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030115453753114

№ 01-314/თ

03 / დეკემბერი / 2014 წ.

„მუდმივი კბილების ფესვთა არხების სისტემის ენდოდონტიური (კონსერვატიული) მკურნალობა“, „კბილის მაგარი ქსოვილების დაავადებათა პროფილაქტიკა და მართვა“ და „დროებითი კბილების რბილი ქსოვილების (პულპისა და პერიოდონტის) დაავადებათა მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

- ა) „მუდმივი კბილების ფესვთა არხების სისტემის ენდოდონტიური (კონსერვატიული) მკურნალობა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N1);
- ბ) „კბილის მაგარი ქსოვილების დაავადებათა პროფილაქტიკა და მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N2);
- გ) „დროებითი კბილების რბილი ქსოვილების (პულპისა და პერიოდონტის) დაავადებათა მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N3).

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

დავით სერგეენკო